კურიკულუმი

პროგრამის დასახელება	**ბიზნესის ადმინისტრირება** (**Business Administration**)
მისანიჭებელიაკადემიურიხარისხი/ კვალიფიკაცია	**ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი** **Bachelor of Business Administration (BBA)**
ფაკულტეტის დასახელება	ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/ კოორდინატორი	ნანა შონია, ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტის მიმართულების პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი.
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	პროგრამის ხანგრძლივობა - 4 სასწავლო წელი, 8 სემესტრი. კრედიტების რაოდენობა - 240 ECTS კრედიტი(major/minor): – **ძირითადი პროგრამა (Major)** – 180 კრედიტი, მათ შორის, ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები - 157 კრედიტი, თავისუფალი კომპონენტები - 23 კრედიტი); – **დამატებითი პროგრამა (minor)** – 60 კრედიტი.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავებისა და განახლების თარიღები;	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N116 17.10.2011 წ; აწსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 10 აპრილის №82(17/18) დადგენილება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის დამტკიცების შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N1 09.01.2019 წ;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

- ✓ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი-ატესტატი და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები;
- ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

  ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

  ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

  გ) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
- ✓ გარე და შიდა მობილობა.

პროგრამის მიზნები	
„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების შესახებ ფართო ცოდნის მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს ბიზნეს იდეის ფორმულირებას, ბიზნეს გეგმის შედგენას, დაფინანსების წყაროების განსაზღვრა/მოძიებას და ბიზნესის ადმინისტრირებაში მონაწილეობას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.	
სწავლის შედეგები:	
ცოდნა და გაცნობიერება	ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს: 1. განსაზღვროს საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, ბიზნესის დაფინანსების წყაროები, ბიზნესის განვითარების როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო ტენდენციები და *შესაძლებლობები თანამედროვე საინფორმაციო სისტემების და ტექნოლოგიების გამოყენებით;* 2. ახსნას ბიზნეს სფეროს ეკონომიკური კატეგორიები და ძირითადი მახასიათებლები; 3. კრიტიკულად გაიაზროს ბიზნესის ადმინისტრირების პრინციპები და უახლესი ასპექტები.
უნარები	ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს: 1. ბიზნეს იდეის ფორმულირებას და ბიზნეს გეგმის შედგენა/წარდგენას თანამედროვე კომუნიკაციური საშუალებების გამოყენებით; 2. ბიზნეს სექტორში ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების აღრიცხვას, ანალიზს და არგუმენტირებული დასკვნების გაკეთებას; 3. *თანამედროვე ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით ეფექტური გაყიდვების პროცესის დაგეგმვას და მართვას;* 4. ბიზნეს ამოცანების გადაწყვეტას თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; 5. ბიზნეს სექტორში მიმდინარე პროცესებში გარკვევას, სწორი დასკვნის გაკეთებას, განვითრების ალტერნატიული გზების დასახვას და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს: 1. ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობას და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვას.
სწავლების მეთოდები	
სწავლის ფორმები - ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობები, ლაბორატორიული მეცადინეობა, პროფესიული პრაქტიკა, კონსულტაცია და დამოუკიდებელი მუშაობა. **სწავლის მეთოდები** - დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), ევრისტიკული, შემთხვევების შესწავლა(ქეისები), გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქციის, დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, ვერბალური და წერითი მუშაობის მეთოდები, პრაქტიკული, ახსნა-განმარტებითი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია, ელექტრონული სწავლების დასწრებული ფორმა.	
პროგრამის სტრუქტურა	
პროგრამის მოცულობა - 240 ECTS კრედიტი(major/minor), მათ შორის: ✓ ძირითადი (Major) პროგრამა - 180 კრედიტი (ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები - 157 კრედიტი, თავისუფალი კომპონენტები - 23) ✓ დამატებითი (Minor) პროგრამა - 60 ECTS კრედიტი. პროგრამა შედგება ძირითადი და დამატებითი პროგრამის სასწავლო კურსებისაგან, ძირითადი პროგრამით გათვალისწინებულია როგორც ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები, ისე თავისუფალი კომპონენტები.	

დამატებითი(Minor) პროგრამის არჩევა ხდება მეორე სემესტრის ბოლოს და მესამე სემესტრიდან თითოეულ სემესტრში 10 კრედიტის მოცულობით სწავლობენ. ძირითად პროგრამაზე მიბმულია ორი დამატებითი პროგრამა - „ბიზნესის ადმინისტრირება“ და „აგრობიზნესის მეჯმენტი“, რომელთა არჩევა შეუძლია უნივერსიტეტში არსებული ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს (გარდა რეგულირებადი პროგრამის).

სასწავლო გეგმა იხ დანართი 1.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა იყოფა შემდეგ კომპონენტებად:
საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს:

- ✓ სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში*(მოიცავს შეფასების სხვადასხვა კომპონენტებს)*-არა უმეტეს 30 ქულა;
- ✓ შუალედური გამოცდა- არა ნაკლებ 30 ქულა;
- ✓ დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 18 ქულას.
შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში (აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ).

- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის სტუდენტის საბოლოო შეფასება, რომელშიც არ მოიაზრება ძირითად დასკვნით გამოცდაზე მიღებული უარყოფითი ქულა.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
- დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 15 ქულით.
- სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

საფუძველი:საქართველოსგანათლებისადამეცნიერებისმინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3.

შენიშვნა:სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები გასაზღვრულია სასწავლო კურსების სილაბუსით.

დასაქმების სფეროები

ქვეყნის მასშტაბით არსებული ბიზნეს სექტორის ქვედა და საშუალო დონის მენეჯერების თანამდებობა, ფინანსური ინსტიტუტები, შემოსავლების სამსახური, კერძო თუ საჯარო მმართველობის ორგანოების საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურები და მარკეტინგული განყოფილებები, საერთაშორისო ორგანიზაციები.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსები: პროგრამას ემსახურება სხვადასხვა მიმართულების როგორც აკადემიური პერსონალი, ისე დოქტორანტები და მოწვეული პრაქტიკოსი სპეციალისტები, მათ შორის: პროფესორი - 7; ასოცირებული პროფესორი - 30; ასისტენტ პროფესორი - 4; დოქტორანტები - 2; მოწვეული პრაქტიკოსები - 5

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსები: ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის განსახორციელებლად გამოიყენება შემდეგი მატერიალური რესურსები: აწსუ-ს სასწავლო კორპუსები (მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №59, № I, II და III სასწავლო კორპუსი, 2205 - ვასილ ჩანტლაძის სახელობის აუდიტორია, 2205 - საბანკო ტექნოლოგიების ლაბორატორია, 1118 აუდიტორია და ი.ჭავჭავაძის გამზირი №21), აწსუ ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზები; დეპარტამენტში არსებული სალიტერატურო ფონდი, უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრის აუდიტორიები.

სასწავლო გეგმა 2020 წწ
პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

	კურსის დასახელება	წინაპირობა	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში							სემესტრი							
				სულ	საკონტაქტო					დამ	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
					ლექცია	პრაქ. მეცად.	ლაბ.	გამოცდა	სულ									
1	2		3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18
I. ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსები																		
I.1	აკადემიური წერა		5	125	15	30		3	48	77	5							
I.2	უცხო ენა 1		5	125	-	60		3	63	62	5							
I.3	მათემატიკა ბიზნესისათვის 1		5	125	15	30		3	48	77	5							
I.4	ეკონომიკის პრინციპები 1		5	125	15	30		3	48	77	5							
I.5	მენეჯმენტის საფუძვლები		5	125	30	15		3	48	77	5							
I.6	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები	-	5	125	15	30		3	48	77	5							
I.7	უცხო ენა 2	**I.2**	5	125	-	60		3	63	62		5						
I.8	მათემატიკა ბიზნესისათვის 2	**I.3**	5	125	15	30		3	48	77		5						
I.9	ეკონომიკის პრინციპები 2	**I.4**	5	125	15	30		3	48	77		5						
I.10	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	**I.5**	5	125	15	30		3	48	77		5						
I.11	მარკეტინგის საფუძვლები		5	125	30	30		3	63	62		5						
I.12	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები		5	125	15	30		3	48	77		5						
I.13	უცხო ენა 3	**I.6**	5	125	-	60		3	63	62			5					

I.14	ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა	**I.7**	5	125	15	30		3	48	77			5					
I.15	ფინანსური აღრიცხვა	**I.12**	5	125	15	30	15	3	63	62			5					
I.16	ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი		6	150	30	30		3	63	62			6					
I.17	მმართველობითი აღრიცხვის საფუძვლები	**I.15**	5	125	15	30		3	48	77				5				
I.18	ბიზნეს-სტატისტიკა	**I.14**	4	100	15	30		3	48	52				4				
I.19	რისკები და დაზღვევა	**I.16**	5	125	15	30		3	48	77				5				
I.20	საგადასახადო საქმე	**I.16**	6	150	30	30		3	63	87					6			
I.21	გაყიდვების მენეჯმენტი	**I.11**	5	125	15	30		3	48	77					5			
I.22	ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში		5	125	15		30	3	48	77					5			
I.23	კორპორაციათა ფინანსები	**I.16**	5	125	15	30		3	48	77						5		
I.24	საბანკო საქმის საფუძვლები	**I.16**	5	125	15	15	15	3	48	77						5		
I.25	პროექტების მენეჯმენტი	**I.5**	5	125	15	30		3	48	77							5	
I.26	ინვესტირების საფუძვლები	**I.16**	5	125	15	30		3	48	77							5	
I.27	მომსახურების მარკეტინგი		5	125	15	30		3	48	77							5	
I.28	ბიზნესის დაგეგმვა და ადმინისტრირება	**I.6** **I.5**	5	125	15	30		3	48	77								5
I.29	საერთაშორისო ბიზნესი	**I.6**	5	125	15	30		3	48	77								5
I.30	ბიზნეს-მონაცემთა ეკონომიკური ანალიზი		6	150	15	30	15	3	63	87								6
I.31	პროფესიული პრაქტიკა	**I.5;** **I.11;** **I.16**	5	125	-	90		1	91	34								5
სულ			157	3925	450	1020	75	91	1636	2289	30	30	21	14	16	10	15	21
II. არჩევითი სასწავლო კურსები																		
I V სემესტრი																		
II.1	დემოკრატია და მოქალაქეობა		5	125	15	30		3	48	77				5				
II.2	კომპიუტერული უნარ-ჩვევები						45	3	48	77								
II.3	ფილოსოფია (ზოგადი კურსი)				15	30		3	48	77								

II.4	გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება				15	30		3	48	77								
II.5	კომუნიკაციური და ორგანიზაციული უნარ-ჩვევები				15	30		3	48	77								
II.6	სამოქალაქო საზოგადოების როლი				30	15		3	48	77								
II.7	დარგობრივი უცხო ენა	**I.12**				60		3	63	62								
V სემესტრი																		
II.8	სახელმწიფო შესყიდვების ადმინისტრირება	**I.16**			15	30		3	48	52								
II.9	აგრობიზნესის საფუძვლები	**I.5**	4	100	30	15		3	48	52					4			
II.10	კორპორაციული მენეჯმენტი	**I.5**			15	30		3	48	52								
II.11	ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება				30	15		3	48	52								
II.12																		
VI სემესტრი																		
II.13	ზოგადი აუდიტი				15	30		3	48	77								
II.14	ინოვაციური მენეჯმენტი	**I.5**			30	15		3	48	77								
II.15	სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია	**II.7**			15	30		3	48	77								
II.16	ბიზნესის სამართალი		5	125	15	30		3	48	77						10		
II.17	მომხმარებელთა ქცევა	**I.10**			15	30		3	48	77								
II.18	ფერმერული მეურნეობის მენეჯმენტი	**I.5**			15	30		3	48	77								
II.19	კვების მრეწველობის საწარმოთა ორგანიზაცია და მართვა				15	30		3	48	77								
II.20	ფინანსური მათემატიკის საფუძვლები				15	30		3	48	77								
VII სემესტრი																		
II.21	ფინანსური ბაზრები და ფინანსური ინსტრუმენტები	**I.16**			15	30		3	48	52								
II.22	ბუღალტრული აღრიცხვა საჯარო სამართლის სუბიექტებში		4	100	15	30		3	48	52							4	
II.23	ფინანსური ანგარიშგება				15	30		3	48	52								
II.24	საერთაშორისო მარკეტინგი	**I.10**			15	30		3	48	52								

II.25	კონკურენცია აგროსასურსათო სექტორში				30	15		3	48	52								
II.26	მიწის რესურსების მართვა				30	15		3	48	52								
სულ			23	575										5	4	10	4	
დამატებითი პროგრამა - Minor[1] და/ან თავისუფალი კრედიტები																		
III.1	Minor/თავისუფალი კრედიტები		5	125	15	30		3	48	77			5					
III.2	Minor/თავისუფალი კრედიტები		5	125	15	30		3	48	77			5					
III.3	Minor/თავისუფალი კრედიტები		5	125	15	30		3	48	77				5				
III.4	Minor/თავისუფალი კრედიტები		5	125	15	30		3	48	77				5				
III.5	Minor/თავისუფალი კრედიტები		5	125	15	30		3	48	77					5			
III.6	Minor/თავისუფალი კრედიტები		5	125	15	30		3	48	77					5			
III.7	Minor/თავისუფალი კრედიტები		5	125	15	30		3	48	77						5		
III.8	Minor/თავისუფალი კრედიტები		5	125	15	30		3	48	77						5		
III.9	Minor/თავისუფალი კრედიტები		5	125	15	30		3	48	77							5	
III.10	Minor/თავისუფალი კრედიტები		5	125	15	30		3	48	77							5	
III.11	Minor/თავისუფალი კრედიტები		5	125	15	30		3	48	77								5
III.12	Minor/თავისუფალი კრედიტები		5	125	15	30		3	48	77								5
სულ			60	1500	180	360		36	576	924			10	10	10	10	10	10
ჯამი			240	6000	630	1380	75	127	2212	3213	30	30	31	29	30	30	29	31

[1] სტუდენტი ვალდებულია მეორე სემესტრის ბოლოს აირჩიოს დამატებითი პროგრამა (Minor) და სწავლა გააგრძელოს მესამე სემესტრიდან. თითოეულ სემესტრში ითვისებს 10 კრედიტის მოცულობის სასწავლოკურსებს.